კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #6

2016 წლის ივნისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 30 ივნისი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა, ინდიკატორით განსაზღვრული მიღწევები, სამობილიზაციო შეხვედრები, საზოგადოებაზე გავლენა, ცვლილებები

ახალი პროექტების დამოუკიდებლდ განხორციელების პრაქტიკა

ივნისის თვე ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობაში ერთგვარი ათვლის სათავედ იქცა. ისინი დამოუკიდებლად იწყებენ პროექტების განხორციელებას საკუთარ ბენეფიციარებთან, საკუთარ გეოგრაფიულ არეალში. ყველა პროექტი ერთმანეთისგან განსხვავებული და გამორჩეულია. განსხვავებულია მათი ფორმატიც. ამ პროექტების გამაერთიანებელია ის ძირითადი მიზნები და ამოცანები: ძალადობის პრევენცია, ქალთა უფლებების დაცვა და მათი გაძლიერება.

„მდიდარი წარსულით - მდიდარი მომავლისკენ“ - **ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი** ამ პროექტის ფარგლებში საინტერესო ღონისძიების ინიციატორი გახდა. 20 ივნისს, დევნილთა საერთაშორისო დღეს ქუთაისში, „თიბისი გალერეაში“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოფენა გაიმართა, რომლებიც დევნილთა საკითხებზე მუშაობენ. გობელენი, თექა, თემატური ნახატები, ხელით შექმნილი სამკაულები - გამოფენის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ქალთა ავტორობით შესრულებული ნამუშევრები დაეთვალიერებინათ.

ღონისძიება საკმაოდ რეზონანსული იყო, მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლები. ღონისძიება გაშუქდა ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით.

პროექტმა გააერთიანა დევნილი და ადგილობრივი საზოგადოება და კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას აფხაზეთი და იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც

დღემდე ეძებენ საკუთარ უფლებებს ნორმალური ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად.
„ცოდნით ვძლიოთ ძალადობას“ - ამ პროექტით **წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის** ბენეფიციარები ორ სოფელში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებით ცდილობენ საზოგადოების ინფორმირებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.
„ინფორმირებული ქალები ცვლიან სამყაროს“ - **ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი** პროექტის ფარგლებში ქალთა ინფორმირებას ტრენინგებით გეგმავს. მუშაობა გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში.
სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა ძალადობასთან ბრძოლა ახალგაზრდების ინფორმირებით გადაწყვიტა. „ინფორმირებული ახალგაზრდობა - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ - ამ პროექტით მუშაობა სენაკის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში გაიმართება, სადაც ამ თვალსაზრისით ინფორმაციის ყველაზე მეტი დეფიციტია.
ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას შეეცდება ზუგდიდის ორ სოფელში **ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი.** პროექტის სახელწოდებაა „ოჯახი ძალადობის გარეშე“.
განსხვავებული მიმართულება აირჩია **ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა.** „ძალადობის პრევენცია - ცხოვრების ჯანსაღი წესით“- პროექტი აქტიური სპორტული ცხოვრების პოპულარიზებით შეეცდება ძალადობის პრევენციას.

აქტიურობა პრობლემათა მოსაგვარებლად

პროექტების განხორციელების პარალელურად, ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, სენაკის, ფოთის და ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სოციალური პრობლემის ადვოკატირების, ბენეფიციართა ინფორმირებისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კუთხით.
სენაკში ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მამაკაცმა მიაკითხა დახმარებისათვის. როგორც გაირკვა, ის C ჰეპატიტით არის დავადებული და არ იცის, ვის მიმართოს, რათა ჩაერთოს იმ პროგრამაში, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ამ კატეგორიის ადამიანების დასახმარებლად. მობილიზატორებმა გამგეობის სოციალურ სამსახურში გადაამისამართეს, სადაც ის აღრიცხვაზე აიყვანეს და მისი საბუთები გაიგზავნა ჯანდაცვის სამინისტროში.
ცენტრის მობილიზატორები დეხმარნენ ბენეფიციარს, რომელმაც საბუთები დაკარგა და ბანკიდან ვერ იღებდა ვერც პენსიას, ვერც დახმარების ფულს. მობილიზატორმა აუხსნა მას, რომ უცილებელი იყო, დროულად გაეკეთებინა ახალი დოკუმენტები, ის თვითონ გაყვა საჯარო რეესტრში, 10 დღეში მისი განახლებული დოკუმენტები მზად იქნება.
ქუთაისში, სასტუმრო „კოლხეთის“ კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებმა დევნილებმა დახმარებისთვის მიმართეს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორს. დევნილებს სურთ სახლის მიშენება, მაგრამ არ იციან, ვისგან აიღონ ნებართვა. მობილიზატორის დახმარებით შეიქმნა პროექტი და გადაეცა მერიის შესაბამის სამსახურს. მათ განემარტათ, რომ აუცილებელია ყველა მცხოვრების ხელმოწერა და დასტური, რის შემდეგაც მოხდება საკითხის განხილვა. დევნილები ამ ეტაპზე ხელმოწერებზე მუშაობენ.
ხონში სოფელ კუხიდან ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. ის რამდენიმე თვეა, ავად არის, მაგრამ არა აქვს თანხები გამოკვლევების ჩასატარებლად. ბენეფიციარს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ

გამგეობაში სოციალურად დაუცველებისთვის არსებობს პროგრამები მსგავსი გამოკვლევების ჩასატარებლად. მობილიტაზორთან ერთად მომზადდა საჭირო დოკუმენტები და მიმართეს გამგეობას. პასუხად აცნობეს, რომ ის მიიღებს 1000-ლარიან დახმარებას გამოკვლევების ჩასატარებლად.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა მოგვარების მიზნით

გრძელდება შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორები ესწრებიან საკრებულოს სხდომებს და ისმენენ ინფორმაციებს სხვადასხვა პროგრამის შესახებ. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სხვა ეტაპზე გადავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრებმა სხვადასხვა პროექტის განხორციელება დაიწყეს. სწორედ სოფლების ხელძღვანელებთან თანამშრომლობით ხდება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, რაც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრებ ქალთა ინფორმირებას ძალადობის თემაზე და ძალადობის პრევენციას.

ინტენსიურად გრძელდება მობილიზატორთა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები ახლომდებარე სოფლებში, რადგან სწორედ ბენეფიციარებიდან მოდის მსგავსი ფორმატით შეხვედრების ჩატარების აუცილებლობა.

სოფლის გამგებლების მხარდაჭერით მოხდა სამობილიზაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება შემდეგ სოფლებში: ხომული და გვიშტიბი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), თეკლათი და ხორში (სენაკის მუნიციპალიტეტი), ქუტირი და ივანდიდი (ხონის მუნიციპალიტეტი).

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლას და პრობლემების ადვოკატირებას.

ერთობლივი პროექტი თანამშრომლობის ფარგლებში

ფონდი „სოხუმი“ ზუგდიდის გამგეობასთან თანადაფინანსებით ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა“. პროექტი ივნისში დაიწყო და აგვისტოში დასრულდება. ეს პროექტი ზუგდიდის ადგილობრივ თვითმმართველობასთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია. გათვალისწინებულია ტრენინგების ციკლი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლების, საკრებულოს დეპუტატებისა და სოფლების აქტივისტების მონაწილეობით. ივნისში ჩატარდა ორი ტრენინგი. თითოეულ ჯგუფში შემუშავდება რეკომენდაციები, სადაც განისაზღვრება ადგილობრივი ხელისუფლების როლი ძალადობის პრევენციაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვლევის ჩატარება 48 სოფელში, რაც წარმოაჩენს რეალურ სურათს, რა მდგომარეობაა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით.

მუშაობა კრიზისულ ოჯახებთან

კრიზისულ ოჯახებზე დაკვირვება, მუდმივი მონიტორინგი და თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მთავარი ამოცანაა.

ხურჩაში მობილიზატორი და აქტივისტი ქალები მუდმივად თანამშრომლობენ ერთ-ერთ ოჯახთან, სადაც რამდენიმე თვის წინ ძალადობა დაფიქსირდა. გრძელდება დიალოგი

ქმართან, რომელიც მოძალადედ დაფიქსირდა. ჯერჯერობით ოჯახში სიტუაცია სტაბილურია. ბენეფიციარი ამბობს, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა მათი ჩარევის შემდეგ.
ფოთში, დევნილთა დასახლებაში საკმაოდ გახმაურებული ძალადობის შემთხვევა მოხდა. ოჯახში ქმარმა ისე ცემა ცოლი, რომ მრავალი ტიპის მოტეხილობებით ის საავადმყოფოში მოხვდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ კი, თითქოს არაფერი მომხდარა, ისევ ოჯახში დაბრუნდა. მობილიზატორები შეხვდნენ მას და ესაუბრნენ. შესთავაზეს, ისარგებლოს ფსიქოლოგის ინდივიდუალური კონსულტაციით, რადგან მას სტრესული მდგომარეობა აღენიშნებოდა. ის მზადაა ფსიქოლოგთან ისაუბროს, მაგარმ მეუღლისგან დამალულად, რადგან შიშობს, რომ მდგომარეობა ისევ არ გაირთულოს.
ფოთში იურისტის დახმარება ითხოვა ქალბატონმა, რომელიც თვლის, რომ ძალადობის მსხვერპლია საკუთარი შვილისგან. ის ცხოვრობს ოროთახიან ბინაში, საიდანაც გამოგდებას უპირებენ. ყოველდღიური კონფლიქტის შედეგად, მუდმივად მაღალი წნევა აქვს და სასწრაფო დახმარებას იძახებენ. მობილიზატორმა უკვე მოაწყო იურისტთან ინდივიდუალური შეხვედრა, მას მისცეს მიმართულება, როგორ დაიცვას საკუთარი უფლებები მოძალადე შვილისგან.
სოფელ კოკში მუდმივი კონტროლის ქვეშ არის ერთი ოჯახი, სადაც ერთი თვის წინ ძალადობა დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში სოფლის გამგებელიც კი იყო ჩართული, სამწუხაროდ, სიტუაცია არ შეცვლილა: ქმარი როგორც კი დალევს, ისევ იწყებს ჩხუბს მეუღლესთან. ისევ ესტუმრნენ ამ ოჯახს მობილიზატორები და მოძალადე მამაკაცს განუმარტეს, რომ განმეორების შემთხვევაში გამოიძახებენ პატრულს და გადასცემდნენ სამართალდამცავ ორგანოებს. მამაკაცმა დრო ითხოვა გამოსასწორებლად და პირობა დადო, რომ მსგავსი სიტუცია არ განმეორდებოდა. ეს ოჯახი დაკვირვების ქვეშ არის. განმეორების შემთხვევაში სხვა ზომებს მიმართავენ.

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა

ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა პროექტის ინდიკატორითაა განსაზღვრული, ამიტომ მობილიზატორთა საქმიანობაში კვლავაც აქტუალურია. ყველა ცენტრში, ყველა ქალაქში ერთნაირად მუშაობს საზოგადოებრივი სტიგმა. ეს პირდაპირ ბლოკავს მსხვერპლს, იაქტიუროს და შეცვალოს რამე მის ცხოვრებაში. მიუხედავად ყველაფრისა, მობილიზატორები ახერხებენ მსხვერპლთან მუშაობას. ატარებენ მასთან შეხვედრებს, განუმარტავენ საკუთარ უფლებებს.
ფოთში რამდენიმე თვეა, მობილიზატორები თანამშრომლობენ ძალადობის მსხვერპლთან, მაგარამ ის მუდმივად იმეორებდა, რომ ეს მხოლოდ მისი საქმეა და თუ დახმარება დასჭირდებოდა თავად გაიგნებდა გზას. მიუხედავად მისი რადიკალური გადაწყვეტილებისა, მობილიზატორები პერიოდულად აკითხავდნენ მას და აწვდიდნენ ინფორმაციებს, უყვებოდნენ პოზიტიურ მაგალითებს, როგორ დაეხმარნენ ამა თუ იმ მსხვერპლს და შეცვალეს მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ. ერთ დღეს ქალბატონი მობილიზატორს საკუთარი ინიციტივით ესტუმრა და სთხოვა, გაესაუბროს მის მეუღლეს, რადგან ყოველდღე უარესდება სიტუაცია ოჯახში. უკვე გეგმავენ, როგორ მოაწყონ ეს შეხვედრა, კიდევ ვინ უნდა ჩაერიოს, რათა მოლაპარაკება ეფექტური იყოს.
თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 4 ანკეტა. ერთმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგთან გაიარა კონსულტაციები. დანარჩენებთან

მიმდინარეობს მუშაობა, რომ მათ ისარგებლონ ცენტრის საკონსულტაციო მომსახურებით.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

სენაკში იურისტს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. მასზე დისკრიმინაციას ახდენენ ძმა და რძალი, რადგან სურთ, მშობლების დატოვებული ქონება მთლიანად მიისაკუთრონ. იურისტმა განუმარტა მას, რომ ის მშობლების ქონების ერთ-ერთი თანამფლობელია და იურიდიულად შეუძლია ამის დამტკიცება. საქმე სასამართლოში იქნა განხილული - საბოლოო გადაწყვეტილებით, ქონება ორ ნაწილად გაიყო და ქალბატონმა ნახევარი წილი მიიღო.

წყალტუბოში იურისტს დახმარება სთხოვა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა. მას პრობლემა ჰქონდა დაბადების მოწმობასთან დაკავშირებით, რადგან სახელი შეცდომით იყო ჩაწერილი და ვერ ახერხებდა სახლის საკუთარ სახელზე გადაფორმებას. მან იურისტის კონსულტაციით მიიღო განმარტება, ვისთვის უნდა მიემართა. დოკუმენტში შეცდომა გასწორდა და სახლის გაფორმების პროცედურები დაიწყო.

ფოთში იურისტს კონსულტაცია სთხოვა ქალბატონმა. მას აინტერესებდა შემდეგი საკითხი: ერთი წლის წინ ძვირფასეულობა ჩააბარა ლომბარდში. ვერ გადაიხადა საპროცენტო გადასახადი და ეუბნებიან, რომ მისი ქონება გაიყიდება. იურისტმა ურჩია, მიმართოს ლომბარდის ხელმძღვანელობას, რომ დაუწესონ გადახდის ინდივიდუალური გრძელვადიანი გრაფიკი, რათა შეძლოს გადახდა.

ქუთაისში ინდივიდუალურ კონსულტაციაზე ერთ-ერთმა ქალბატონმა მიიღო ინფორმაცია, როგორ იმოქმედოს საცხოვრებელი ფართის მისაღებად.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ჩატარდა უფასო იურიდიული კონსულტაციები. ფოთში, სენაკსა და წყალტუბოში, ძირითადად, განიხილეს სოციალურად დაუცველთა უფლებები, სესხის ხელშეკრულება და მრავალშვილიან დედათა პროგრამები.

ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში საუბარი შეეხო ქორწინებას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ქუთაისსა და ხონში იურიდიული საინფორმაციო შეხვედრების თემა იყო გამოხატვის და მედიის თავისუფლება. ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების არსზე და დაცვის გარანტიებზე.

ივნისში ჩატარდა 12 შეხვედრა ქუთაისის სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების კანონზე. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა“ შესახებ კანონზე.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

ივნისში აქტიური მუშაობა ჩაატარა ფონდი „სოხუმის“ ორმა ფსიქოლოგმა. ქუთაისში, თეკლათსა (სენაკის მუნიციპალიტეტი) და ხურჩაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) განსახილველი თემა იყო „ბავშვებთან არაძალადობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება“. საკითხმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მონაწილეების აზრით, მიღებული რჩევები გავლენას მოახდენს მათზე და შეცვლიან შვილებთან ურთიერთობის სტილს.

წყალტუბოში, ხონსა და ფოთში შეხვედრების ძირითადი თემა იყო: პასუხისმგებლობა, ქცევის კონტროლის მექანიზმები ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის.

კონსულტაციებმა ბენეფიციართა აქტიური ჩართულობით ჩაიარა. მათთვის ამ სახის შეხვედრები ერთადერთი საშუალებაა მათი ინფორმირებისა და რეაბილიტაციისათვის. ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა ფსიქოლოგთან. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, ამიტომ განსხვავებული მიდგომებია საჭირო.

- მეტი დრო დაუთმეთ მათ, მოექეცით როგორც თანასწორს, - შეხვედრების მონაწილეებმა დააფიქსირეს, რომ ფსიქოლოგის ამ რჩევებს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებენ.

ისტორია 1

ვენერა მ. ფსიქოლოგთან ინდივიდუალურ კონსულტაციაზე ჩაეწერა. მისი ისტორია ასეთია: შვილიშვილს ზრდის, უკვე სამი წელია, რადგან დედა საზღვარგარეთ არის წასული. ბოლო ერთი წელია ბავშვთან (ის უკვე ათი წლის არის) ურთიერთობა არ გამოუდის, თავის ნებაზე დადის, არ იბარებს, სად მიდის, მთელი დღეები არ მეცადინეობს, ამაზე ბებია ბრაზდება და მასთან კონფლიქტშია. როცა ამის შესახებ დედას აცნობა, ბავშვი კიდევ უფრო გაღიზიანდა და და დედას უთხრა, რომ ბებიას ეზარება მისი მოვლა და უნდა, სახლში ჩაკეტოს. დედამ ვერ მოახერხა ურთიერთობის დალაგება. ჩამოსვლა არ შეუძლია, რადგან ვალები არ აქვს გასტუმრებული.

ფსიქოლოგი ესაუბრა ცალკე ბებიას და ცალკე ბავშვს. ბავშვი ჯიუტად იმეორებს, რომ ბებიას ის არ უყვარს და ამიტომ ეჩხუბება. ფსიქოლოგმა ურჩია ბებიას, რომ სასურველია ბავშვი სხვა გარემოში, სხვასთან გადაეყვანათ მოსავლელად. დედის ინიციატივით გოგონა გაგზავნეს მეორე ბებიასთან, სოფელში. ერთი კვირის შემდეგ გოგონამ ბებიას ტელეფონზე დაურეკა და უთხრა, რომ უკვე ძალიან მოენატრა. ბებია ამბობს, რომ ამ სიტყვებმა ყველაფერი დაავიწყა. თვითონაც დაწყნარდა. შეთანხმდნენ, რომ გოგონა ზაფხულს სოფელში გაატარებს, სასკოლოდ კი ისევ ქალაქში, ბებიას დაუბრუნდება.

ისტორია 2

მარინას პირველ ქმართან ურთიერთობა არ გამოუვიდა. ისინი ორ წელიწადში დაშორდნენ ერთმანეთს. ერთი ბიჭი ჰყავს და მარტო ზრდის. მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ჰყავს მეგობარი მამაკაცი, რომელიც ცოლობას სთხოვს. მარინას ეშინია გადაწყვეტილების მიღების, რადგან გიორგი უკვე 13 წლისაა და არ იცის, როგორ შეხვდება ამ ამბავს. რამდენიმე თვეა, ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა. აფორიაქებულია, უძილობა დაეწყო. ეჩვენება, რომ შვილს სამუდამოდ კარგავს.

ფსიქოლოგმა ურჩია, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ბავშვთან იმუშაოს. აუხსნას და შეამზადოს ის, რათა ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდეს. ფსიქოლოგი გიორგის ესაუბრა, სხვადასხვა ისტორია უამბო.

ორი სეანსის შემდეგ მარინა ფსიქოლოგს აცნობა, რომ გიორგის ყველაფერი აუხსნა. მანამდე შეამზადა საამისო ნიადაგი. უფრო მეტიც - მომავალი ქმარიც გააცნო. ყველაფერი უფრო მშვიდად დამთავრდა, ვიდრე წარმოედგინა. გიორგი თანახმაა, დედა გათხოვდეს, ოღონდ მარტო არ დატოვოს. მარინა ამბობს, რომ უკვე დამშვიდდა, რადგან ყველაფერი გარკვეულია და არაფერი აშინებს.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქუთაისსა და სენაკში სოციალური სამსახურის წარმომადგენლებთან. გამოიკვეთა, რომ მათთვის პრობლემა აქტუალურია, აქტიურად არიან ჩართულნი პროცესში, თუმცა არსებობს ხარვეზები სხვა სამსახურებთან კოორდინაციის თვალსაზრისით.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ქუთაისში საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან, ხოლო მეორე - დაგეგმილი ინტერვიუ განათლების სამინისტროს წარმომადგენელთან ვერ მოხერხდა (თუმცა, შეთანხმებისამებრ, ჩვენი მონიტორი იყო ჩასული თბილისში, სამინისტროში და შეხვდა კომპეტენტურ თანამშრომლებს). გაირკვა, რომ ერიდებიან კომუნიკაციას ამ საკითხზე, არ მოდიან თანამშრომლობაზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ პრობლემად.

ახალგაზრდული კლუბების მუშაობა

ახალგაზრდული კლუბების შეხვედრები რამდენიმე თემაზე ჩატარდა. ოჯახში ძალადობის მიზეზები და პრევენციული მექნიზმები განიხილეს წყალტუბოს, ხონის, კოკის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა.

ტრეფიკინგი - როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა - ამ საკითხებზე იმსჯელეს ფოთში, ქუთაისში, სენაკში. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სენაკში, სოფელ თეკლათში ჩატარებული შეხვედრა. მონაწილეებმა პირველად მოისმინეს მსგავსი ინფორმაციები და დაგეგმეს: ამ თემებზე გააგრძელონ დისკუსია თანატოლებთან.

კოკში მოწვეულნი იყვნენ ორსანტიის სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც თვითონ გამოხატეს დასწრების სურვილი. ახალი წევრები მალე გააქტიურდნენ და ინტერესით ჩაერთნენ თემის განხილვაში.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარებული შეხვედრა მიეძღვნა ტრეფიკინგის მიზეზებს და დამცავ მექანიზმებს. ამ აქტიურ ახალგაზრდულ კლუბში მოწვეული იყო სამი ახალი წევრი. დისკუსიაში ისინიც ჩაერთნენ. აღინიშნა, რომ გადაადგილება და მოგზაურობა დიდი რისკია, თუ ადამიანი სწორად არ არის ინფორმირებული. ამიტომ ამ შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრის ორი წარმოდგენა გაიმართა ქუთაისში, სიყვარულის პარკში. მაყურებელთა აქტიურობა იგრძნობოდა ყველა წარმოდგენის შემდეგ, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნიეს დედა-შვილის ურთიერთობის სცენა.

მონაწილეთა აზრით, ამ ფორმატით ძალადობის ჩვენება ეფექტურად მოქმედებს.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში და განხილული თემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიის თემაზე ჩატარდა ქალებისა და გოგონების ჯგუფებთან ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ფოთსა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

კომუნიკაცია, როგორც ოჯახური კონფლიქტების მართვის მექანიზმი - დისკუსია ამ საკითხზე გაიმართა. ორივე ასაკის ჯგუფებში გამოვლინდა, რომ კომუნიკაციის თემა მათთვის საინტერესო იყო.

დაინტერესება მათი აქტიურობით დადასტურდა, ერთვებოდნენ დისკუსიებში, მოჰყავდათ საკუთარი ცხოვრებისეული მაგალითები.
მონაწილეები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია ეფექტური კომუნიკაციის შესახებ, რადგან ეს საუკეთესო მექანიზმია ოჯახური კონფლიქტების პრევენციისთვის.
მნიშვნელოვანია გასვლითი შეხვედრები სოფლებში. სოფელ თეკლათში (სენაკის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა ერთ-ერთი შეხვედრა ქალთა ჯგუფთან.
მონაწილეთა აზრით, დისკუსიები ამ საკითხზე უნდა გაგრძელდეს, რადგან კომუნიკაციის როლი კონფლიქტების მართვაში მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტი ადამიანი გაეცნობა ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკას, მით უფრო მეტად შემცირდება ოჯახური კონფლიქტების განვითარების რისკი.

ივნისში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 90 ღონისძიება და აგრეთვე აქტივობები ქალთა მხარდაჭერის ცენტრების პროექტების ფარგლებში

33 სამობილიზაციო შეხვედრა
2 ტრენინგი ზუგდიდში
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
3 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი